№ 262 დეკემბრის 5, ოთხშაბათი. 1866—1884 დეკემბრის 5, ოთხშაბათი. № 262

ტფილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ—„დროების“ რედაქციაში; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ—მოსე ნათაძესთან; ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ—ვანო როსტომაშვილთან; ᲒᲝᲠᲨᲘ—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

## ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲕᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡᲐ.

პატივის ცემით ვაცნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქმნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში ვინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინა დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რაშიაც მნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.



მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შექმნილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

მოკლეს ხანში იქნება ახალი გამოფენა, ფასი შესვლისა დაკლებულია: 30 კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 15 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში, გალავინის პროსპექტზე, რაზგონი ფოსტის პირ-და-პირ. (2—1)

### ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

═ «მწყემსის» უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია მოწინავე წერილი იმერეთის სამღვდელოების კრებისგამო, რომელშიაც სხვათა-შორის ავტორი ამტკიცებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ორს სასწავლებლად გაყოფის საჭიროებას. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ზემოხსენებული სასწავლებელი დიდ-ძალს რიცხვს შეგირდებისას იპყრობს და ეს გარემოება ბევრად უშლის ამ სასწავლებლის რიგიანად მსვლელობის საქმეს. სასწავლებელი წარმოადგენს თოთხმეტს კლასს. შარშან კურსი გაუთავებია ამ სასწავლებელში სამოცდა ექვსს და მათ რიცხვში მხოლოდ ჩვიდმეტს ჰღირსებია შესვლა სემინარიის პირველ კლასში.

რასაკვირველია, სასურველია და დიდად სასარგებლოც მეორე სასულიერო სასწავლებლის დაარსება იმერეთში, მით უმეტეს, რომ, როგორც გაზეთი ამბობს, ეს დიდს ნივთიერს მსხვერპლს არ მოითხოვს სამღვდელოებისაგან, მაგრამ, არა გვგონია ამ გარემოებამ გზა გაუხსნას იქაურ სასწავლებლებში კურს შესრულებულთ თბილისის სემინარიაში შესვლისათვის, რადგან ამ უკანასკნელში ალაგი ცოტა არის და ყველა მსურველს ვერ დააკმაყოფილებს. მეორე სასულიერო სასწავლებლის გახსნის საქმესთან, ჩვენის აზრით, დაკავშირებულია მეორე სემინარიის გახსნის საქმეც იმერეთში.

თვით სამღვდელოების კრების შესახებ «მწყემსში» ვრცელი ცნობანია მოყვანილი; ამ ცნობებს შემდეგ მოკლედ შევატყობინებთ მკითხველებს.

═ ,,ბაქოს უწყებებში‘‘ დაბეჭდილია კორესპონდენცია ბათუმიდამ, რომელშიაც მოყვანილია ფრიად საინტერესო ცნობანი ბათუმის ბუხტის შესახებ. წერილის ავტორი ამბობს, რომ ბუხტა ჯეროვანის სისწრაფით შენდება და საჭირო მასალა გაცხარებითა გროვდებაო. ბუხტის გაკეთება ქალაქს, ცხადია, დიდს სარგებლობას მოუტანს. ნახევარ წლის განმავლობაში 6 მილიონი ფუთი საქონელი მისულა და გატანილა ბათუმიდამ ფასით $12^1/_2$ მილიონის მანათისა. უკეთუ ბუხტა მალე გათავდება, ერთი ორად და ერთი სამად იმატებს საქონლის მოტანაც ბათუმში. განზრახვა აქვთ, რომ ბუხტის აშენებისათვის დახარჯული ფული ამოიგონ მოტანილსა და გატანილს საქონელზე ბაჟის დადებით—წონის კვალობაზე, მაგრამ კორესპონდენტი ამბობს, რომ უსამართლობა იქნება ერთგვარი ბაჟი ილონ შემაზედაც და აბრეშუმეულობაზედაცაო. მისის აზრით, უკეთესი იქნება, რომ ბაჟი დაიდოს იმის კვალობაზედ, რა ღირსებისაა ესა თუ ის საქონელი. ამ შემთხვევაში, თუ მივიღებთ სახეში რომ წელიწადში 25 მილიონის საქონელი მივა და წავა ბათუმში, და თუ 1% გადაახდევინებენ საქონლის პატრონებს, ეს გადასახადი შეადგენდა წელიწადში 250,000 მ. და აი, ამ სახით, სულ 15—20 წლის განმავლობაში, პორტის გაკეთებაზედ დახარჯული ფული სრულიად ამოიგებაო.

═ ,,ქასპში ვკითხულობთ, რომ ,,ამიერ-კავკასიის [illegible] ველობას შეუკვეთნია სამზღვარ-გარედ 60 ლოკომოტივი, რომელნიც ოდესამდე რკინის გზით იქნებიან მოტანილნი და შემდეგ ზღვით ბათუმამდე. თითო მატარებელი 3,500 ფუთს იწონისო. ზღვით გადმოტანის შესახებ ცილობა დაწყებულა საგემო საზოგადოებათა შორის, რომელთაგანაც ზოგისთვის ყოვლად შეუძლებელია ამ სიმძიმე ტვირთის ზიდვა და ზოგს კი ისეთი ფასი მოუთხოვნია გადმოტანაში, რომ რკინის გზის მმართველობას ვერ გაუბედნია ამ ფასის მიცემა, ამი-

«დროების» ფელტონი, დეკემბ. 5-ს

### ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ «ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲖᲔ»

პოემის გადათარგმნის გამო ფრანცუზულს ენაზე.

(შემდეგი *)

რუსთაველის გულ-კეთილობასთან ერთად, მე ვპოვებ „ვეფხვის ტყაოსანში“ მის სულ-გრძელობასაც, მეგობრობის სიყვარულს, მიცემულის სიტყვის შესრულებას. იმის პოემაში არც ერთი გმირთაგანი არ ივიწყებს იმ სამსახურს, რომელიც მისთვის გაუწევიათ. ამ საგანს არა ლალატობს იგი და ისეთის სიმტკიცით მისდევს, რომ მხოლოდ ავტორის ხასიათი უნდა იყოს დასაბამი ამ კეთილ-შობილურის გრძნობისა. ტარიელი, ფრიდონი და როსტევანი კი არ არიან «ვეფხვის ტყაოსანში» მოციქულნი მადლიერობისა (признательность), თვით რუსთაველია, რომელიც ათქმევინებს თავის გმირებს: „ვინც მე სიკეთე მიყო, არას დროს ჩემგან დავიწყებული არ იქნება“... მისი მაღალი აზრი მოვალეობასა და მეგობრობაზე იხატება შემდეგს მის სიტყვებში: «ვინცა კაცმან ძმა ანუ თუ დაცა იდოს, ჰხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს». ანუ ამ სიტყვებში: «ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად; გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.» მე მგონია, რომ საჭირო აღარ არის ამოვკრიფო კიდევ ადგილები, რომელნიც ამტკიცებენ პოეტის მაღალ თვისებას, როგორც კაცურის კაცისას, მაგრამ განა შეიძლება მდუმარებით ავუაროთ ამ შესანიშნავს ლექსს რუსთაველისას: «რასაცა გასცემ—შენია, რაც არა—დაკარგულია». ეს სიტყვები ისე მშვენივრად არის ნათქვამი და ისეთი ღრმა აზრი აქვსთ, რომ ღირსნი არიან მთელი ქვეყანა შემოვლონ!

მე მინდოდა კიდევ მიმეთითებინა ზოგიერთა ადგილებზე, რომელთაც იმოქმედეს ჩემზე იმ აზრის სიღრმით, რომელიც მათშია გამოთქმული და ფორმის სიმშვენიერით, რომლითაც გამოთქმულნი არიან. ამ გვარ ადგილებს ეკუთვნის, უეჭველია როსტევანის სიტყვები, მიმართულნი მის ქალისადმი, როცა ეს უკანასკნელი დაგვირგვინებულ იქმნა:

,,გვარდსა და ნეხვსა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების‘‘.

და ბოლოს კიდევ, როცა ბედნიერად გათავდა მისი დაქორწინება:

,,ულხენდა სწორედ წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს‘‘.

ამ გვარივე აზრები, სავსენი კეთილ-შობილურის გრძნობით, ყოველ ნაბიჯზედ გაბნეულია პოეტის გრძელს პოემაში და მათი ხშირად გამეორება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პოეტი გულ-წრფელად იყო გატაცებული ამ აზრებით, და ცდილობდა თავისი აზრები თავის თანამედროვეთათვისაც შეეთვისებინა. ცხადია ამის შემდეგ, რომ ჩვენ ისე კი არ უნდა ვუცქეროდეთ იმის ნაწარმოებს, როგორც სალიზღლობელ ამბავთა მოთხრობას, მოგონილთ თვით პოეტისაგან თავის მკითხველების გასართობად, არამედ როგორც ზნეობრივ წიგნს, რომელიც ღირსია რომ განმარტოებით იკითხებოდეს ჩაფიქრებითა და ჩაღრმავებით. მე-XII საუკუნე მოწყალებისა და გულ-კეთილობის საუ-

*) იხილე „დროება“ № 261.

საგამო დღევანდლამდე ეს საგანი გადაწყვეტილი არ არის თურმე.

— „ნოვოე ობოზრენიეს“ სიტყვით ტფილისში შემდგარა ამ უკანასკნელს დროს მთელი ბრბო შეიარაღებულ ავაზაკთა, რომელნიც უფრო თათრები უნდა იყვნენო: ავაზაკები ქალაქის განაპირას დასეირნობენ და თავს ესხმიან სოფლელებს ქალაქიდამ თავიანთ სოფლებში დაბრუნების დროს. უკანასკნელ ორის დღის განმავლობაში თავს დასხმიან მანგლისელებს „თეთრ დუქანთან“, ნავთლუღს იქით, აგურხანებს ახლო ერთს ციეის გლეხს და ტფილისის მცხოვრებს ისაევს; დასასრულ იარაღით ხელში დასხმიან თავს ერთს დუქანს წმ. ბარბარეს ეკლესიის მოშორებით, ქალაქ-გარედ.

— გაზ. „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში დაიმართებიან ქარხნები იმ აზრით, რომ რელსებ ქვეშ დალაგებული ხეები განსაკუთრებულის ნივთიერებით გაამაგრონ ხოლმე. ამბობენ, რომ ამ ხეებით რკინის გზის დაკმაყოფილება უკისრნია რამდენსამე წლის განმავლობაში ინჟინერს ბუნგეს.

— ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ხარჯთ-აღრიცხვაში მომავალის 1885 წლისათვის ცოტაოდენი ცვლილებანი მოუხდენიათ. სხვათა შორის გაუქმდება თანამდებობა გზის შეკეთების უფროსის თანაშემწესი, რომელიც წელიწადში 5,800 მან. იღებდაო. ამ თანამდებობას უკანასკნელ დრომდე ასრულებდა ინჟინერი სოფრონიევი, რომელიც დღეს თავს ანებებს სამსახურს ამიერ-კავკასიის რკინის-გზაზეო („კავკაზი“).

— გასულს წელს ქუთაისის გიმნაზიაში ჩინებულად დაამთავრა სწავლა ერთმა ახალგაზრდამ, ვასილ გიორგიძე წერეთელმა. საგრძნობელი სილარიბე ხელს უშლიდა ნიჭიერის ახალგაზრდის გამგზავრებას რუსეთში უმაღლესის სწავლის მისაღებად. მაგრამ საზოგადოების თანაგრძნობამ დასძლია ეს გაჭირვება. ამ ჟამად ამ ახალგაზრდის სამშობლო სოფელს (ს. პერევისას) გაუმართავს ხელის-მოწერა და შეუგროვებია ამ ყმაწვილისათვის 40 მ. შეუწირავთ: ელენოორა წერეთლისას 5 მ., მღვდ. ზ. წერეთელს 2 მ., ამბაკო პაპავას 6 მ., პავლე მოსეშვილს 4 მ., ვლადიმერ წერეთელს, მაშიკო წერეთლისას, კოსტ. აბდუშელიშვილს, მგნატე ზერლავას, გიორგი გაჩეჩილაძეს, პოლიკარპე წერეთელს, მიხეილ წერეთელს, სეოსტია წერეთლისას, სპირიდონ წერეთელს, კაცია მაჭავარიანს, ქეკელა წერეთლისას, ჭიჭიკო აბდუშელიშვილს და ყაფლან წერეთელს—თითო მანათი თითოს, მოსეშვილების კანტორას 3 მან., ბესო ღარჯონიკიძეს 60 კ., გრიგოლ წერეთელს, შარნაოზ წერეთელს, მამასახლისს სოხია ტყემალაძეს, ნიკო წერეთელს, ვიაჩესლავ წერეთელს, ნიკო წერეთელს, ნატალია ბარათაშვილისას, ბაიანე წერეთლისას, ნესტორ კაკაბაძეს და უფლისა ჩაჩანიძეს ათ-ათი შაური თითოს. საჩინო ვაშაძეს, ანტონ ყიფიანს და თომა მაღლაფერიძეს—ორ-ორი აბაზი. იოსებ მოდებაძეს 20 კ.—სულ 40 მან.

## „დროების“ კორესპონდენცია

**სიღნაღის მაზრა, ნოემბრის 30-ს.** მთელი მაზრა ისე შეიპყრო ყვავილმა, რომ თითქმის ყველა სოფლებში, თვითოეულ ოჯახიდამ „იავნანა“ გამოისმის. პირველში კიდევ მშვიდობიანი ყვავილი იყო; აცივდა თუ არა, გაუსვა ხელი და, პატარებს გარდა, არც ცოლ-შვილიანებს უფთხილდება. ვეღარ ასდიან სოფლელები დასაფლავებას. დღეში აუცილებელია ორი-სამი არ დამარხონ. ხალხი ძლიერ შეშინებულია მოახლოვებულ ზამთრისაგან. ზამთარი ცხვირ-წინა აქვთ და ყვავილი უფრო თუ არა მატულობს, არ კლებულობს, მშველელი კი არსაიდამ სჩანს; მ—გმაც-კი შეუწყეს ხელი ყვავილს რადგან პატარების საზიარებლად სახლში არ მიდიან, ამიტომ მთელი დღის განმავლობაში ეკლესიის კარებთან, მლოცავებსავით დგანან უბედური მშობლები, გამწარებული შვილებით ხელში. სიცივეში გამოყვანა მომაკვდავისა და გარედ დგომა, რასაკვირველია კეთილს არ აყრის ავადმყოფს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ზიარების მიღებისათანავე განუტევებენ ხოლმე უბედურნი სულს. ს. კ—ში ეკლესიის კარზე მოყვანილი ყვავილით შეწუხებული ბავშვი საზიარებლად დედას ხელიდამ გამოეცალა. ორმა ავადმყოფმა კი, თუმცა შინამდინ მიიყვანეს, მაგრამ სალამომდის ძლივს-ღა გასტანეს. მართალია მ—ბს ნება აქვთ პატარების საზიარებლად შინ არ იარონ, მაგრამ ამ გაჭირებულ დროს, მერე სიცივეში, სწორედ შესაძლოა, რომ ნებივრობა დასთმონ და კაცთ-მოყვარეობით და გულ-შემატკივრობით იხელმძღვანელონ. განა ყვავილისგან ზარალი არა კმარა, რომ კიდევ სიცივის გამო ავადმყოფებს დღე არ ესწრაფებოდეთ.

X

«დროების» მკითხველი, უეჭველია, იფიქრებს, რომ სიღნაღის მაზრას ექიმი არა ჰყავს, თორემ მანამ ასე გაძლიერდებოდა ყვავილი, რაიმე ღონისძიებას მონახავდა იგი იმის წინააღმდეგაო. ღმერთმა დაგვიფაროს! ექიმი გვყავს, მაგრამ ცოტა დინჯად ირჯება დალოცვილი. ყვავილის შესახებ ვერას ვიტყვით. ექიმის თანაშემწენი „ფერშლები“ დიდხან დადიოდენ სოფლებში და ხალხს უცრიდენ, მაგრამ აცრამაც არა გვიშველა-რა. ეხლა იმედი გვაქვს, რომ ბ. ბახუტოვი მაინც დაგვიდებს წამალს. ბ. ბახუტოვი უკვე მოვიდა აქ, სოფლები კიდეც ჩამოიარა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყვავილის წინააღმდეგ საშუალების მიღებაზე არა ურჩევია-რა. ჩვენ მაინც იმედს არა ვკარგავთ.

X

რაც ყვავილმა დაგვმართა, დაგვმართა და რაც იმან ვერ შეასრულა, „ჩაფრებმა“, და მათმა სითამამემ დაასრულა. გაჩნდა სოფელში ჩაფარი? ყველანი ჩამოეცალენით! ქერი, ბზე, თივა, პური, ღვინო, ქათამი უთქმელად მზად იყოს, თორემ, გზირო, ზურგზედ ისეთი ტყავი დაიკარი, რომ მათრახმა ვერ ჩაატანოს. სწორედ გასაოცარია: მეჯოგე, მოსამსახურე, მეღორე, მეძროხე, თუ სხვა კაცი, მიიღებს თუ არა ჩაფრის დიპლომს უცებ ითვისებს ვაჟბატონურს კილოს. გაჩნდა მაგალითად ბეგარა. ჩაფრების დღეობა ჩაღდება. ბძანება, ან სხვა რაიმე ქაღალდია წასაღები სოფელში,—კიდევ ჩაფრების დღეობაა.

«ჩაფრებს» არავითარი უფლება არა აქვთ სოფელში ფართაშობისა და ბძანებლობისა. საქმე აქვს? უნდა ისაქმოს და თავის გზას უნდა გაუდგეს, მაგრამ: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოო“—ნათქვამია. ამ თვის 24-ს ს. ჯ—ში ერთს ჩაფარს მამასახლისთან ქაღალდი მოჰქონდა მაზრის უფროსისაგან. გზაზე შეჰხვედროდა გზირი. რადგან გზირი არ ეახლა თურმე უკან, საწყალს მათრახებით ზურგი აუჭრელა.

ამავე სოფელში ბძანდება «ჩაფარი» ხალხის ბეგარაზე გამოსაყვანად. იგი ღამე დადის და სადაც მოასწრობს უკაცო სახლს, ან ქვრივ-ოხერს, ვაივაგლახს აყენებს. ჩაფარი მოვალეა ღამე დაუძახოს ხალხს და, თუ მეორე დილით არ გამოვლენ, მაშინ კიდევ ნება აქვს დაარბიოს. შუა ღამისას დარბევა ვის გაუგონია. ეხლა მუშაობის დროა და კაცები ხშირად ღამე შინ არა ბრუნდებიან. რა საქმე აქვს

---

კუნე არ იყო და, უნდა ვიფიქროთ, რომ ის პატივის-ცემა, რომელიც დაიმსახურა რუსთაველის ქმნილებამ, ჰმოწმობს თვით ქართველთ ერის სახარგებლოდ თამარის მეფობის დროს. მხოლოდ ეს ფაქტი იქნებოდა საკმარისი ეტნოგრაფიისათვის, რომ მის მიხედვით მთელი რიგი სამართლიანის საგულებელ აზრებისა და ჰიპოტეზებისა წარმოსთქვას მან რუსთაველის თანამედროვეთა კულტურის მდგომარეობაზე. მაგრამ მე აქ ვკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ აღვნიშნავ იმ კავშირს, რომელიც უნდა არსებობდეს ხელოვნურ ნაწარმოების შესწავლისა და იმ ვითარების შორის, რა ვითარებაშიაც იგი დაიბადა და გაიდგა ფესვები,—იმ შესწავლის შორისამეთქი, რომელიც ასე მიმზიდველ საქმედ ჰხდის ლიტერატურის ძველ სახსოვართა გამოკვლევას.

ახლა თვით ნაწარმოების გარჩევას დავუბრუნდები. რუსთაველს საგნად ჰქონია ყველა თავისი ოთხი გმირი, ქალი და კაცი ერთს ბოლოსა და ვითარებამდე მიიყვანოს. ეს ბოლო და ვითარება არის ბედნიერი შეერთება სიყვარულითა და მეგობრობით. მე ამ კისრად ნადებს საგანს საძნელოს ვეძახი, სახელდობრ იმიტომ, რომ პოეტს აუცილებლად ხელში უნდა ეჭიროს ყველა თოკის წვერები, რათა მოსაწყენს ერთგვარობაში არ ჩააგდოს თავი და არ აურიოს ერთმანეთში ხასიათები, რადგან მათ თვით ეს განზრახვა პოეტისა ბევრად აერთგვაროვნებს. და მე მგონია, რომ რაც უნდა ძნელი შესასრულებელი ყოფილიყო ეს საგანი, რუსთაველმა მაინც შეასრულა ბოლომდე. მან მოახერხა ხასიათებისათვის ისეთი განთვითოება მიეცა, რომელიც თვითოეულ გმირისაგან სრულიად დამოუკიდებლად ჰხდის მომქმედს პირს.

პოემის დასაწყისში მე მეგონა, რომ ავტორმა ავთანდილი და თინათინი უნდა გახადოს თავის რომანის მთავარ გმირებადა მეთქი, მაგრამ კითხვამ მალე დამარწმუნა, რომ მე ვსცდებოდი. მთავარ გმირებზე პოეტი გადადის ისე, რომ თავად არ ერევა ამბის თხრობაში; იგი მკითხველებს უთმობს თავად შეადგინონ აზრი მათზე იმ ორიოდ-სამიოდე ფრაზებიდგან, რომელსაც თითონ ავტორი წარმოსთქვამს, ანუ გმირთა ხასიათების რამოდენიმე ნაკვთის წყალობით, რომელსაც (ნაკვთს) იგი აჩვენებს მათში მოქმედების დროს.

ის ხერხი, რა ხერხითაც რუსთაველი აღწერს თავის ახალგაზდა გმირს, ბევრად მოგვაგონებს იმ ხერხს, რომელიც 400 წლის შემდეგ იხმარა თავის გმირის დასახატავად ტორკვატო ტასომ. ავთანდილი კარგაა მოყვანილი, ტანადია, უწვერულვაშოა; იგი ჯერ ისევ იმ ასაკშია, როცა მის პირის კანს ბროლის ბრწყინვალება აქვს; იგი ეძებს ნუგეშინისცემას ან სიკვდილს თავის მიერ შეყვარებულის თინათინის წარბებში. დასაწყისიდამვე თინათინი, რომელმაც ყოველივე სიმდიდრე თავისი სამეფოს სალაროსი გასცა უხვად დიდსა და მცირეზედ, ღირსი აღმოჩნდება ხელმწიფობისა, რომელიც მამამ ჩააბარა მას. იგი იყო ლამაზი და მშვენიერი; თვით მზეც კი თინათინობდა, როგორც მოხდენილად გამოსთქვამს ავტორი თავის ფრიად პოეტურს აზრს; სხვანაირად რომ ვსთქვათ, თვით მზე, ტყვე-ქმნილი ქვეყნის უმშვენიერესი ქალის სილამაზით, მის შვენებას თავის სხივებში თრთოლვით გამოსახავდა... ის სცენა, როდესაც თინათინი მოიწოდებს ავთანდილს და რომელშიაც ჰგზავნის მას ვეფხვის ტყავით მოსილის კაცის საძებნელად, ფრიად საქარაქტერო სცენაა. ახალგაზდა ქალწული ეუბნება თავის მალმერთებელს, რომლის საიდუმლო მან იცის:

„ბუჩქსა აგრე სამძდო ია მორგე, გვარდი ჰყარე:

მე ამ ფრაზას ვამჯობინებ ძველებურს ტრადიციით გადმოცემულს—„ავსებს გულს სურნელებითაო“—და აღუთქვამს მას,—ჯილდოდ თავის (სი-

ჩაფარს შუალამისას მანდილოსნებთან, რომ უწყალოდ არბევს?

X

ამ თვის 20-ს ს. ახალ-სოფელში (გალმა) მოიკლა თავი ა. ხერუდინოვმა. ამბობენ, რომ ეს მკვლელობა ხიფათის გამო მოხდაო. ხერუდინოვი ასუფთავებდა თურმე რევოლვერს თავის სტუმართან. სტუმარს ჰგონებოდა, გასროლა უნდაო და ხელი აეკრა რევოლვერისთვის, მაგრამ სწორედ ამ დროს გავარდნილიყო რევოლვერი და შიგ ყელში მოხვედროდა საცოდავს.

ი. კახელი.

## უცხოეთი.

**საფრანგეთი.** ჩინეთი როდი-ლა ხუმრობს. საფრანგეთის საწინააღმდეგოდ აუარებელს ხარჯსა სწევს ეს შეძლებით ღარიბი, მაგრამ მცხოვრებთა რიცხვით-კი უმდიდრესი ქვეყანა დედა-მიწაზედ. სამ მილიონ ფრანკამდის მიუცია ჩინეთის მმართებლობას კრუპის ფირმისათვის ზარბაზნების გასაკეთებლად. ამავე მმართებლობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ჩინეთის ყოველმა წარჩინებულმა პირმა, თუნდა არა მხედრობისამაც, ყოვლის ღონით ეცადოს კუნძულის ფორმოზის განთავისუფლებისათვის ფრანსიელების ხელიდამ. ყოვლისფრით სჩანს, რომ ჩინეთს დაუკარგავს ყოველივე იმედი საფრანგეთთან მორიგებით საქმის გათავებისა. ეხლა მხოლოდ ენერგიული სამხედრო ზომები-ღა დარჩენია იხმაროს. 12-ს საომარ ხომალდს მიუვიდათ ბრძანება ჩინეთის მმართებლობისაგან გავიდენ ზღვად და გაარღვიონ კუნძ. ფორმოზაზე შემოზღუდული წრე საფრანგეთის ჯარებისა. თითქმის ყველა უმაღლესი ადგილები ამ გემებზე ნემცებს უჭირავთ. მაგრამ ნემცების უფროსობა ჩინეთის საომარს გემებზე დიდს სამხედრო ძალას ვერ შეადგენს ,,ზეციურ იმპერიისათვის'', რადგან ეს ნემეცებიც ვერ არიან ზღვის მხედრობაში იმდენად განვითარებულნი, რომ მათი უფროსობა საფრანგეთის მოწინააღმდეგე ჯარებისა დიდად სავნებელი აღმოჩნდეს საფრანგეთის ჯარებისათვის.

—

**ინგლისი.** სენტ-ჯემის კაბინეტმა დაუგზავნა სახელმწიფოთა ნოტა ეგვიპტეს შესახებ. თუმცა ინგლისურმა გაზეთებმა არა უწყიან ჯერ, რა სწერია ნოტაში, რა გვარის წინადადებით მიმართა ინგლისის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოთა ეგვიპტის საქმეების შესახებ, მაგრამ ამ გარემოებამ არ დაუშალა მათ, ინგლისურ გაზეთებს, თვისი აზრი გამოეთქვათ ეგვიპტეს საქმეთა მიმდინარეობაზედ. გაზ. ,,ნორდის'' ვრცელს სტატიაში გატარებულია ის აზრი, რომ თუ სახემწიფოთა არ ჰსურთ, რომ ინგლისმა უფრო მკვიდრად მოიდგას ფეხი ეგვიპტეში, თვისი უფლებანი განაცხადოს ამ ქვეყანაზე, მათ უნდა თანხმობა არ განაცხადონ ინგლისის წინადადებაზე. და რომ ეს წინადადება ინგლისის მთავრობისათვის სავნებელად არ იქმნება შემდგარი — ეგ, რასაკვირველია, ხვერა გაზეთს. ბერლინში ფიქრობენ, რომ ხსენებული წერილი გამოთქმაა რუსეთის ოფიციალურ აზრებისა. გერმანია თვის აზრს ინგლისის მთავრობისაგან წარმოდგენილს ნოტაზე მანამ ვერ გამოსთქვამ, სანამ ბერლინის კონფერენცია არ გათავდება; მაშასადამე სანამ თ. ბისმარკის აზრები თვალსაჩინოდ არ გამოაშკარავდებაო.

—

**გერმანია.** ბრაუნშვეიგის ტახტის მემკვიდრეობამ დიდი აყალ-მაყალი ასტეხა საზოგადოდ გერმანიაში და აქედამ გერმანიის რეიხსტაგში. პირდაპირმა მემკვიდრემ ტახტისამ კუმბერლენდის ჰერცოგმა თვისის ინტერესების დაცვა რეიხსტაგში მიანდო ბ. ვინდჰორსტს და ამას უნდა მიეწეროს ის შეტაკება, რომელიც ამ ვინდჰორსტსა და ბისმარკს შუა ხდება ხოლმე ამ უკანასკნელს ხანს რეიხსტაგის სხდომებზე, რადგან ბისმარკი უარსა-ჰყოფს კუმბერლანდის ჰერცოგის მემკვიდრეობასა. მაგრამ როგორც იწერებიან ნემეცურს გაზეთებში, კუმბერლანდის ჰერცოგის ვექილს ვინდჰორსტს ერთობ წინდაუხედავი წინადადება შეუტანია რეიხსტაგში და ეს წინადადება ერთის მხრით ძრიელ ავნებს ჰერცოგის მემკვიდრეობასაო: მოხსენებული წინადადება შეეხებოდა 1874 წლის მაისის 4-ს გამოცემულს საეკლესიო-პოლიტიკურს წესდებას. აი, რას ამბობს ამ საგნის გამო ,,კელნის გაზეთი'': ,,ბ. ვინდჰორსტმა განაცხადა, რომ თუ ,,მაისის წესდება'' (რომლის ძალითაც გერმანიიდამ განიდევნებიან რომის-კათოლიკე სასულიერო წოდებისანი) არ იქმნება მოსპობილი, ეს, უეჭველია, გამოიწვევს არეულობას პრუსიელ პოლონელებისას, რომელთაც ადვილად ველარ დაამშვიდებს მმართებლობა. მთავრობა მცირედ აფასებსო, განაგრძობს ვინდჰორსტი მას: კმაყოფილია თუ არა ერი და მხოლოდ შუბის იმედი აქვს; ავიწყდება კი ის, რომ ამავე შუბს ის ხალხი ატარებს, რომელიც ამ ერს ეკუთვნის. ვინდჰორსტი ადვილად გვიწინასწარმეტყველებს არეულობას. ველფს ვინდჰორსტს ვერ ვუწოდებთ პრუსიელს. ის ვექილია კუმბერლანდის ჰერცოგისა, პრუსიის მეფის მტრისა'' და სხვა. სხვა გაზეთები კიდე უარესად მისდგენ ვინდჰორსტს მისის წინადადების გამო — ასე რომ მოყვრობის ნაცვლად ვინდჰორსტმა მტრობა გაუწია თვის მარწმუნებელს, კუმბერლანდის ჰერცოგს.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

დეკემბრის 3.

**პეტერბურგი.** მირონოვიჩის საქმის გამო, ქალი სემენოვისა რომელმაც პირველად თავად იტვირთა სარა ბეკერის მკვლელობა, მოწმეებმა თავიანთი ჩვენებით დასახეს აღზრდილ და განათლებულ ქალად, მიმზიდველის ხასიათით და, თითქო ავად-მყოფათ, ისეთის გატაცებულის ბუნების პატრონად; სასამართლოში წაკითხულნი წერილები სემენოვის ქალისა სავსენი არიან თავ-დავიწყებულის სიყვარულით ბეზაკისადმი. პროფესორმა სოროკინმა, ექიმების მიერ სემიონოვის მეორედ გასინჯვის შემდეგ და შემდეგ ნივთიერის საბუთების განხილვისა გამოაცხადა, რომ სემიონოვისას არ შეეძლო მოეკლა სარა ბეკერიო, რომ მისი იარაღი — რკინის ქვა ანუ გირი არ მიუდგება ჭრილობასაო და რომ მკვლელობის წინად, შეიძლება, მის ძალით გაუპატიურებას ცდილობდენო. დღეს საღამოს დაიწყო გამამტყუნებლის სიტყვის თქმა.

**ურფარი ავსტრიისა.** აქ დაიჭირეს ოთხი ანარხიელი, ამასთანავე იპოვეს საიდუმლო სტამბა, პროკლამაციები და სასროლი იარაღები.

დეკემბრის 4.

**პეტერბურგი.** გუშინ, დიდებულის მედიგნციის დროს, ოსმალეთის დესპანმა მიართვა ხელმწიფე იმპერატორს იმთიაზის ორდენი და

---

ყვარულს, უკეთუ გაარიგებს რასმე ძებნის დროს.

ეს ფაქტი სრული გარკვევაა თინათინის ხასიათისა: სასურველის მისაღწევად იგი არ ერიდება მიმართოს ყოველ-გვარ საშუალებას და ივიწყებს ჩვეულებრივს თავის მოკრძალებასაც კი. ამის შემდეგ ავთანდილსაც მალე ვცნობთ. ის არის მოხერხებული და საქმის ამღებ-დამღები, იცის თავის გულის-თქმათა შეკავება, რათა ამით არ გადუხვიოს ერთის იოტის ტოლადაც იმ გზას, რომელიც წინადვე არჩეული და მოსაზრებული აქვს. ძალიან ხშირად თავის ხანგრძლივის მოგზაურობის დროს იგი ტანჯვას ეძლევა, რადგან მისი სიყვარული თინათინისადმი გულწრფელია — მაგრამ, როგორც კი თვალთაგან პირველი ცრემლი ვარდება, ამშვიდებს თავის თავს ჯადოსანის სიტყვით: «მოთმინება'' «ჭირთა თმენა», და ეს სიტყვა უბრუნებს მას ძალას. რაოდენად არის ავთანდილი თავ-დაჭერილი' ჩვენ ამას ვხედავთ მაშინ, როცა იგი შეეყრება ტარიელს, რომელსაც სამი წელიწადი ეძებდა და რომელსაც, შეხვედრის დროს, მოითმინა და არ მივარდა ერთმანეთის „ცემა-ქლეტად“. ჩვენ რომ საბუთები არ გვქონდეს იმის მამაცობასა, იქნებ, შესაძლებელი ყოფილიყო მხდალობა დაგვებრალებინა მისთვის, მაგრამ რადგანაც კარგად ვიცნობთ მას, სრულიად სხვა გვარს აზრებს ვახვევით. იგი უცვლელად მისდევს იმ ქცევას, რომელიც ერთხელვე წესად მიიღო:

«ჭკვამს თუ კაცმან გონიერმან მნელი საქმე გამოაგოს,
«არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს».

მეორე ალაგი, რომელიც ავთანდილის ხასიათს განარკვევს, არის ეპიზოდი ვაჭრის ცოლის ფატმანისა და ავთანდილის შესახებ — ეს ერთად-ერთი ეპიზოდი, რომელიც ზნეობის დამცველთ ძლიერად ეჭაშნიკებათ. სვინიდისის მიერ შეუწუხებლად ავთანდილი ტრფიალებს, დაუწყებს ვაჭრის ცოლს; ეს ტრფიალებაც მაინც ერთისა და იმავე საგნისათვის — მეგობრის საშველად — არის და მომართლია იმ პრინციპის სახელით, რომელსაც პოეტი სავალდებულოდ ჰხდის მეგობრობისათვის, სახელდობრ: „მეგობრის გულისათვის არავითარი მსხვერპლის შეწირვა არ უნდა იყოს ძნელი“. ამ შემთხვევაში, მაინც-და-მაინც მსხვერპლი მეტად საძნელოდ არ ეჩვენება ავთანდილს, რადგან ლალატი საყვარლისა არავითარ ქენჯნას სულისას და სვინიდისის შეწუხებას მასში არ იწვევს. პოეტი მაინც დიდხანს არ ჩერდება ამ ეპიზოდზე და არ იმეორებს მას, იმიტომრომ «სძაგს უგულოდ სიყვარული». პოეტმა რომ გამოიყვანა ავთანდილი ამ გვარ სიყვარულის გმირად, ამით გვაჩვენა, რომ ავთანდილი იმის საყვარელი გმირი არ არის. მე ამით სრულიად ის არ მინდა ვსთქვა, რომ პოეტს განზრახვა ჰქონდა ავთანდილი ბოროტების წარმომადგენლად გამოეყვანა; არა, მას უნდოდა განესხვავებინა ავთანდილი ტარიელისაგან, მაგრამ მასაც ბევრგვარად სიმპატიური ხასიათი მისცა, როგორც ესა სჩანს მის ლაპარაკიდამ შერმადინთან. ეს ლაპარაკი სავსეა მშვენივრის მოძღვრებით. ესა სჩანს აგრეთვე ანდერძიდამ, საცა მას მოჰყავს მოციქულის სიტყვები და ლოცვები. მისი ანდერძი სამკვიდროს დარიგებაზე გვიჩვენებს რა პრაქტიკული კაცი იყო და როგორ მისდევდა მხოლოდ პრაქტიკულს საგნებს: იგი სტოვებს ანდერძს, რომ მისი სიმდიდრით დამართულნი იყვნენ ხიდები, აგებულ სადგურები ობოლთათვის და სხვ. მეორე კარგი ხასიათი ავთანდილისა გამოხატულია მისს მიმართვაში პლანეტებისადმი... მაგრამ, ეს პლანეტები მაძლევენ მე საბაბს «ვეფხვის ტყაოსნის» შემოქმედს მივმართო შემდეგის საყვედურით:

(შემდეგი იქნება).

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Декабря

საკუთარი წერილი ხონთქრისა და იმპერატორიცას მაკვეთის ოდენი.

**ლეიპციგი.** უმაღლესს საიმპერიო სამჯავროში დაიწყო საქმე ანარხისტის რეინედარჭისა და ამის შვიდ მომხრეთა, რომელთაც ბრალდებათ სახელმწიფოს ღალატი, მკვლელობის განზრახვა, ცეცხლის წაკიდება, და განსაკუთრებით განზრახვა დინამიტით აფეთქებისა ნიდერვალდში, რომელსაც გასულ წელს იმყოფებოდენ აქ იმპერატორი, პრინცები და მინისტრნი.

**ზოუნკოუნგი.** კორეიაში არეულობაა; ბანკეტის დროს მოკლეს ინგლისის ელჩი, კორეიას კოროლის შვილი და ექვსი მინისტრი; კოროლევა დაიმალა და კოროლი გაიქცა; იაპონიის საელჩო გადასწვეს; ჩინელებს და იაპონელებს შუა შეტაკება მოხდა; სამზღვარ გარეთელი რეზიდენტები ჯერ უვნებლად არიან.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასაათამდინ. საბებიო, სქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში უოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შველავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაბინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქაქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

**გამგეობას ნიკოლსკის მანუფაქტურის ამხანაგობისა**

„საბა მოროზოვის შვილი და ამხ.“

აქვს პატივი შეატყობინოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ იგი ჰმართავს მუდმივ ვაჭრობას ქ. ბაქოში და სთხოვს ბბ. მუშტრებს ყოველთვის მიჰმართონ ხოლმე ამ ამხანაგობის საწყობში (სკლადში).

გარდა ნიკოლსკის მანუფაქტურის ნაწარმოებისა, ბაქოს საწყობში ყოველთვის იქნება ალის ფერი საქონელი (пунцовыя издѣлія) კუმაჩი, შილა და სხ. სოკოლოვსკის მანუფაქტურისა, ასაფა ბარანოვისა და შალის საქონელი ივანე ბუტიკოვის მანუფაქტურისა. (6—1)

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფსკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხურხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხათფანგები, ნიჩბები, გატერპრუჭი, საბნები, ჩუღქებ, წინდები, სუფრები, სალტეტკებისათვის რგოლები, ქმალიანი ჭურჭელი, მურაბები, გამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156. 157, 158, 159. და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—59)

**ინგლისის მაღაზია**

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა-წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—50)

**გამოვიდა და ისყიდება**

## ელისო

მოთხრობა ჩვენელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობელოვთან; თელავში: ბატ. პ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

**ელგუჯა,** ისტორიული მოთხრობა.

**არსენა,** დრამა 3-ს მოქმედებად. **დილა** ქორწილის შემდეგ, კოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველი ტომის, პირველი ნაწილი. (20—7)

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
**ახალი წიგნი**
**არითმეტიკა**
სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.
ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან.
(10—10)

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Декабря 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.